წელიწადი I-ლი | ხუთშაბათი 13 იანვარი | ფასი 30 მან.

# ბათომის ცხოვრება

№ 8 | ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო | № 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 800 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . . 50 მან.
4 " " " . . . . 40 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროძალ-სხირტლაძის

ორშაბათს, 10 იანვრიდან 1921 წ. დრამა მონაწილეობას მიღებენ ხერუვიმოვაა გედევანოვა, ბიბიკოვა ი გრეია,

სიყვარული და ქურდობა
—II—
სანახაობა ფინეთში
—III—
საქმაროს ჩამადანი სახუმარო სურათი.

ანონსი პარასკევს 14 იანვარს შემდეგი პროგრამა!

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.

პარასკევიდან 7 იანვრიდან 1921 წ. საშობო პროგრამა!
უდანაშაულოთ გასამართლებული
ოცი წლის კატორღა.
(ევანგელისტი)
დრამა სემინარიელების ცხოვრებიდან.
ფრანგული კამარინი

ანონსი: მზადდება დასადგმელად რკინის კანცლერი.
ანონსი: ოთხშაბათიდან 12 იანვრიდან წავა ახალი სურათები.

# განცხადება.

## ბათომის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მან მოიმარაგა რა საჭირო მასალები ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში ქვა ფენილების შესაკეთებლათ სჭირდება მოხელე, რომელსაც შეიძლება ექნება აიღოს მთელი სამუშევარი, რისთვისაც ნიშნავს ფარული შეჯიბრების დღეთ 7 იანვარს, დღის 12 საათზე და იმ დღეს მსურველნი, სამუშევარის აღების, უნდა გამოცხადდენ ქალაქის გამგეობის საინჟინერო განყოფილებაში ფარული შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. ყოველ გვარ ცნობების მიღება, დასახელებულ სამუშევარის შესახებ შეიძლება გამგეობის საინჟინერო განყოფილებაში ყოველ დღიურათ, შეჯიბრების დღემდე, დილის 9 სათიდან შუა დღის 3 საათამდე.

3—3

ქალაქის გამგეობა.

---

# ბათომის მუშათა მაგიდა

აცხადებს, მიღებული ბათომის საბაჟოდან მაგიდის მიერ გადაეცა კოოპერატივ

## „ს ხ ი ვ ს“

ბათომის სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეზე გასანაწილებლათ, გირვანქა შაქარი გაყიდულ უნდა იქნას 630 მანეთად სულზე ნახევარი გირვანქა.

2

მუშათა მაგიდა.

---

# განცხადება

მუშათა მაგიდის მიერ დაწესებულ წესების თანახმათ მაგიდის დეფიციტის დასაფარავათ ფული უნდა შემოიტანონ დამქირავებლებმა ის დამქირავებლები რომელიც აიძულებს მუშას ან მოსამსახურეს შეიტანს მაგიდაში ხსენებული ფული—ჩემ მიერ იქნება

## მიცემული პასუხის გებაში

ვთხოვთ კავშირთა საბჭოს, გამგეობებს და პროფესიონალურ ორგანიზაციების წევრებს აცნობონ შრომის კომისარიატს ყოველივე შემთხვევა დამქირავებელთა მხრივ მაგიდის წესების დარღვევისა.

20

შრომის კომისარი ა. წულაძე.

---

# ამით ეუწყება საყოველთაო ცნობისთვის, რომ თანახმად დადგენილებისა

(სააგენტოო საკომისიო სატრანსპორტო საზ.) „ენერგია“ 1 იანვრიდან 1921 წ. შეუდგა თავის ლიკვიდაციას.

ყველა იმ პირთ ვისაც კი რაიმე პრეტენზია აქვთ ამ ფირმის შესახებ უნდა მიმართონ სანაპირო ქ. № 87.

განცხადება შეტანილი უნდა იქმნას 15 დღის განმავლობაში ამის შემდგომ ფირმა ითვლება გაუქმებულად და პრეტენზიების მიღება არ იქნება.

---

# განცხადება.

## ბათომის ქალაქის თვითმართველობა

სამი იანვრიდან 1921 წ. ხსნის

## საჯარო ვაჭრობის დარბაზს

ყოფილ ლომბარდის შენობაში.

დარბაზი მიიღებს ყოველგვარ საქონელს ძვირფას ნივთებს, ოქრო, ვერცხლს, ავეჯს, ტანისამოსს და სხვა ყოველგვარ სხვილ თუ წვრილ საგნებს, რომლებიც გაიყიდება დანიშნულ დღეს საჯარო ვაჭრობით. საჯარო ვაჭრობა შეიძლება აგრეთვე დაინიშნოს დარბაზის გარეთაც, სადაც ამას საქონლის პატრონი მოითხოვს. საჯარო ვაჭრობიდან აღებული ფული გადაეცემა მეპატრონეთ სრულიად ე. ი. პროცენტების გამოუკლებლათ.

3—3

ბათომის ქალაქის გამგეობა.

---

# განცხადება

ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 15 იანვარს ამა 1921 დანიშნულია გადაჭრითი საჯარო ვაჭრობა სასწორებისა ნურიისა და არუვინის ბაზრებში ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ გირაო 50,000 მანეთი თითოეულ ვაჭრობაში მონაწილეობისათვის.

ვაჭრობა იქნება სიტყვიერი ყოველგვარ პირობების განცნობა შეიძლება გაიცნონ ქალაქის გამგეობის განცელარიაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე ყოველ საქმე დღეს ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზე.

25 2—2

ქალაქის გამგეობა.

---

იურიდიული კაბინეტი ნაფიც ვექილ

## გ. ნ. ათაბეკოვისა და ნ. მ. ტურგოვიჩისა

კონსულტ და წარმოება საქმეებისა; სამოქალაქო, საკომერციო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციის და შედგენა ყოველ გვარ ქაღალდებისა, წესდებათა, ხელშეკრულებათა და აქტებისა.

მიღება დილის 11 საათ. დღის 2 საათამდე. მარინეს პრ. სახ. № 29.

2—1

---

# განცხადება

ამით შრომის კომისარიატი აცხადებს, რომ

## ახალი წელი ძველი სტილით არ არის უქმე დღე

რის გამო მუშაობა ყველა წარმოებებში და დაწესებულებებში

## უნდა სწარმოებდეს ჩვეულებრივათ.

24 2—1

შრომის კომისარი აფ. წულაძე.

---

# ბათომი, 13 იანვარი.

დღეს ამიერკავკასიის ერთა ურთიერთობის ფორმის გამოძებნაში ხელმძღვანელ როლს თამაშობს საბჭოთა რუსეთი.

ფორმალურათ დამოუკიდებელი სომხეთი და აზერბაიჯანი ფაქტიურათ რუსეთის უდავო ნაწილებია და ამ სახელმწიფოთა მთავრობანი ასრულებენ და ატარებენ იმ ხაზს, რომელიც მათ ნაკარნახევი აქვთ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთაგან.

საქართველო და მისი მთავრობა ამიერკავკასიის ერთა განწყობილებაში ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს გამოძებნას ისეთი კომპრომისი, რომელიც აქ მობინადრე ერებს მოარიგებს, მათ დამოკიდებულებას მეზობლურ და მშვიდობიან გახდის, ჩვენი დემოკრატიის ცდა იქით იყო მიმართული, რომ როგორმე მეზობელ ერთა დემოკრატიის გამოფხიზლებისათვის ხელი შეეწყო და მით ამიერკავკასიის ერთა სოლიდარობის საქმე მტკიცე საფუძველზე დაეყენებია.

ჩვენ მთავრობა და ჩვენი ხალხი განსაკუთრებული სიფრთხილით უდგებოდა იმ მწვავე და სადაო საკითხებს, რომლის კითხვა და განსჯა და მოუკიდებელ სახელმწიფოთა არსებობამ ჩვენდა უნებურად წამოაყენა და ჩვენ იმ საკითხების გადაწყვეტის საქმეში ვიდექით კეთილ განწყობილების და ლოიალობის გზაზე. და ყოველთვის იმ მცირე ძალას, თუ კი ასეთი ახმაურდებოდა, რომელიც აგრესივობის გრძნობას ჩვენ მეზობელ ერთა მიმართ ამჟღავნებდა, უწევდით სასტიკ ბრძოლას. ჩვენ სასტიკათ ვეწინააღმდეგებოდით შუღლის და მტრობის თესვას მეზობელ ერთა შორის და ხშირათ მეზობელთა მიერ მოყენებულ ზიანს ვივიწყებდით, რომ სასურველ კეთილგანწყობილებას მივეღწია. უანგარო და ნათელი იყო ყველა ჩვენი მთავრობის ნაბიჯები, გ დადგმული საგარეო ურთიერთობის მიმდინარეობის გარკვევაში. ცხადია, საქართვე-

ლო ამიერკავკასიაში ეწეოდა დიდ კულტურულ მუშაობას, მისი ხელმძღვანელობა უდავო იყო და მისი ზრახვანი განკარნახევი იყო ერთა სოლიდარობის უდიდესი გრძნობით.

თუ წინეთ ჩვენი მთავრობა ახერხებდა მეზობელ სახელმწიფოთა მესვეურების აგრესიობის ფრთის შეკვეცას, მათ ერთგვარ კალაპოტში ჩაყენებას და ერთგვარი ურთიერთობის ერთა შორის დაცვას მას შემდეგ რაც ბოლშევიკები აზერბეიჯანს და სომხეთს ეწვიენ და ამ ქვეყნების სოვეტიზაცია მოხდა, მდგომარეობა ძირიანათ გამოიცვალა და აზერბეიჯან—სომხეთის მესვეურები ძალზე გაკადნიერდენ; მათ დაკარგეს ყოველგვარი საზომი რიგიანობის, თავისი ხალხის ძალების დაზოგვის და ბრძოლის გუნებაზე დადგენ აქ, ისინი ასრულებენ ბოლშევიკების შინებს და მიზანში საქართველო ყავთ ამოღებული. საქართველო დაინგრეს, მისი დამოუკიდებლობა წაიშალოს, საქართველო რუსეთის ნაწილათ გადაიქცეს აი წადილი ბოლშევიკების და ამ გზით აყენებს აზერბეიჯანს-სომხეთს ბოლშევიკური რუსეთი

ბოლშევიკების ასეთი ზრახვის შედეგი იყო, რომ აზერბეიჯანი ჩვენ ვაგონებს და ორთქმავლებს იტაცებს და თავის საჭიროებისათვის იყენებს, ბოლშევიკების ბოროტი ვნების შედეგია, რომ გაწითლებული სომხეთიც ახმაურდა ნოტებს გვიგზავნის, უკმეხათ გველაპარაკება და იმის სურვილის აშკარათ სჩანს ნოტებში. ბოლშევიზმი გვებრძვის წინ, ანელებს ჩვენს შინაურ მუშაობას, გვიბორკავს ხელ ეკონომიურ შემოქმედების გაღვივებაში, ბოლშევიზმი გვებრძვის გარედან აზერბეიჯანი სომხეთის საშვალებით, იძულებული ვხდით საზღვარზე ჯარი ვიყოლიოთ და დიდი ხარჯი ვსწიოთ.

ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახერხა ამიერ კავკასიის ერთა დამოკიდებულების გამწვავება, აქ მობინადრე ერთა არსებული არა მეგობრული განწყობილების უფრო გაუარესება და მით საქართველოს მდგომარეობის საგრძნობლად გართულება.

ჩვენი დემოკრატია კარგათ ხედავს ბოლშევიკების ასეთ ღვაწლს და მათ მოქმედებას შესაფერათ დააფასებს.

## მოკლე შენიშვნები.

X

ეკონომიური თვითმოქმედებაში უნდა ჩაებან ჩვენი თვითმართველობები.

ქალაქები და ერობები.

ეს მოვალეობა მათ არგუნა დროთა ბრუნვამ.

თვითმართველობათა მოღვაწეობა რევოლიუციამდე და დღეს, რევოლიუციის შემდეგ სხვა და სხვა სურათს წარმოადგენს.

ეს სხვა და სხვაობა შეეხება როგორც პოლიტიკურს, ისე ეკონომიურ პირობებს.

წინეთ ქალაქი დესპოტიის უღელ ქვეშ სულს ღაფავთა და არ სარგებლობდა არავითარ პოლიტიკურ უფლებებით.

დღეს ის სრულიად თავისუფალია და სახელმწიფო ძალა უფლებისადგილობრივ ორგანოთ ითვლება.

წარსულში ქალაქს არ შეეძლო გამოეჩინა არავითარი ინიციატივა, მისი საბიუჯეტო უფლებები შებოჭილი იყო.

ყოველს მის ნაბიჯს თვითმპყრობელობის ერთგული ძალა „გოროდსკოე პრისუტსტვიე" უთვალთვალებდა...

ეხლა ქალაქს და ერობას სახელმწიფოსგან მინიჭებული აქვთ ფართე და უდავო საბიუჯეტო უფლებები, ახლო მომავალში დამფუძნებელი კრება დააკანონებს მათ და თვითმართველობებს გაეხსნებათ თავისუფალი და ფართე სარბიელი ეკონომიურ შემოქმედებისა...

ეხლა თვითმართველობები მცირე გამონაკლისის გარეშე, მოქმედებენ სრულიად თავისუფლათ და დამოუკიდებლათ, მაგრამ მათი მეურნეობა მაინც დიდ კრიზისს განიცდის.,

ქალაქებს და ერობებს ისტორიამ არგუნა უდიდესი მოვალეობა, ადგილობრივ საქმეების სრულიად თავისუფლათ მოწყობა-მოგვარება, მაგრამ მანვე უანდერძა მათ ისეთ მძიმე პირობებში მუშაობა, რომელთა ადვილათ გადალახვა შეუძლებელია.

რაში გამოიხატება ეს მიზეზები?

ცხადია—მსოფლიოს ეკონომიურ კატაკლიზმებში.

საერთო ეკონომიური კრიზისი მაჯლაჯუნასავით დააწვა თვით მმართველობებს და ფრთებს სჭრის მათ საქმიანობას.

ახრჩობს სათ ალტაცებულ ზრახვებს და მუშაობას!

ქალაქების აღმშენებლობა—მოწყობისათვის საჭიროა შეუწყვეტელი კავშირი მსოფლიოს ბაზართან, კულტურული ცხოვრების პირობები გამომდინარეობს მრეწველობის ნორმალურ მდგომარეობიდან

დღეს კი მრეწველობა ეცემა და ქალაქების კულტურული ცხოვრებაც უარესდება..

ქალაქების უმრავლესობა ვალებში იხრჩობა, ხარჯებს ვერ აკმაყოფილებს არსებული შემოსავალი და დეფიციტი დეფიციტს ემატება.

ქალაქების და ერობების მუშაკები თავგამოდებით იბრძვიან მდგომარეობის გამოსასწორებლათ, ამისათვის ამოიწურა ყოველგვარი ზომები, მაგრამ სასურველ შედეგს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ...

და ვერც დავინახავთ, თუ ჩვენი ზომები ნასესხები იქნება მარტო წარსული საქმიანობის არხივიდან, თუ ჩვენ თავის დროზე არ გავცილდებით მუნიციპალური მოღვაწეობის ძველ შკოლას...

საჭიროა ახალი გზის გამონახვა.

ერთად ერთ ასეთ გზათ ჩვენ უნდა ვაღიაროთ მუნიციპალურ წარმოების გაჩაღება.

ქალაქებმა და ერობებმა დაჩქარებით უნდა მოაწყონ მუნიციპალური წარმოებანი.

ამ თავითვე უნდა მოჰკიდონ ხელი შემოსავლიან დაწესებულებების მოგვარებას.

ამაში მათ ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეც და სამშობლოს კანონმდებლობაც.

ერთად ერთი ხელის შემშლელი გარამოება არის ის, რომ ევროპა ძველებური სიჩქარით და იაფათ ვერ იძლევა საწარმოვო იარაღებს, მაგრამ თუ ჩვენ გამოვიჩენთ უნარს, თვით საქართველოში აღმოჩნდება სახელდახელოთ საკმარისი იარაღები. დანარჩენს კი ისევ დასავლეთი მოგვცემს.

დეფიციტების დასაფარავათ დღემდე თვითმართველობები შეჰყურებდენ მთავრობის სესხს, მაგრამ ამით საქმე ვერ მოგვარდა

მუნიციპალური მრეწველობა, თუ ის კარგათ იქნა დაყენებული დაფარავს დეფიციტებს და ამავე დროს ის დიდი ფაქტორი იქნება სახელმწიფოს ეკონომიურ კეთილ დღეობისათვის

სად უნდა იშოვნონ ქალაქებმა და ერობებმა საამისო თანხები!

ამ საკითხის სწორათ გადაწყვეტა ჩვენი მუშაობის უნარსა და გამოცდილებაზეა დამყარებული.

ჩვენ არ უნდა გვქონდეს სხვისი იმედი.

უცხოელებს ჩვენ უნდა მივმართოთ მხოლოთ ისეთი საქმეების მოსაგვარებლათ, რომელთა დაყენებას ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვახერხებთ

არ უნდა შევყურებდეთ მთავრობის სუბსიდიებსაც.

თვით ხალხშია დაგროვილი დიდძალი თანხები, რომლებიც აორკეცებენ არსებულ სიძვირეს. საჭიროა ამ ფულების გამოყენება და ამისათვის შესაფერი ზომების მიღება

ქალაქებს და ერობებს საშვალება აქვთ ფაბრიკა-ქარხნების მოსაწყობათ შეეკრან ერთმანეთს პირიბით, შექმნან საზოგადოებები და გამოუშვან საკუთარი აქციები.

ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხალხი დიდის ნდობით შეხვდავს ასეთ საქმიანობას, შეიძენს აქციებს და ხელს შეუწყობს საკუთარი მრეწველობის მოწყობას.

მაშინ დეფიციტებიც ამოიწურება და სამშობლოს მხეც უფრო მოგვეალერსება...

**კ. ფირცხალაიშვილი.**

## მიწების დათესვა.

საქართველომ მაქსიმუმი ენერგიისა უნდა დახარჯოს და ყველა საშუალებები იხმაროს იმისთვის, რომ რესპუბლიკამ არ იგრძნოს სასურსათო კრიზისი, ხალხს არ დააკლდეს პური თუ მჭადი.

საქართველომ საკუთარ ღონისძიებას უნდა მიმართოს, რადგან თანდროულ პირობებში ძნელია გარეშე ქვეყნებიდან პურის შემოზიდვით თავს დაიმედება. ქართველი ერი სასოფლო მეურნეობის გაინტენსივებით უნდა შეეცადოს, რომ მას თავის მიწის ნაყოფი ეყოს.

საქართველოს ტერიტორიაზე რაც შეიძლება მეტი მიწა უნდა დაითესოს, ყველა მამულები პირნახულს უნდა იძლეოდენ და მხოლოდ ამას შეუძლია თავიდან აგვაშოროს სასურსათო კრიზისი. როგორც ვიცით დღემდის საქართველოში მიწების საგრძნობი ნაწილი რჩებოდა დაუთესავი. სოფლებში ბევრმა მიატოვა მიწის დამუშავება და სპეკულიაციას მიყო ხელი, რადგან ეგონა, რომ ადვილად ნაშოვარი ქაღალდის ფულები პირნახულზე უფრო მეტს იფასებდა.

მთავრობამ ამ უკვე ყურადღება მიაქცია მიწების დათესვის საკითხს, მან გამოსცა დეკრეტი თავისუფალ მიწების იძულებით დათესვის შესახებ. ყველა მოვალეა დათესოს თავისუფალი მიწა და თუ ეს მას არ შეუძლია მაშინ უნდა გასცეს. საერთოდ ამ საქმეს სოფლურ საქართველოში ერობები გაუძღვება.

მთავრობის ეს დეკრეტი ფრიად რეალურ მნიშვნელობის არის და მისი ცხოვრებაში მიზან შეფარდებით გატარება დიდ სარგებლობას მოიტანს.

ჩვენ ყოველ დღე ვამბობთ, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი.

ამ მხრით სურსათის საქმეშიც რამოდენიმეთ მაინც უნდა დავიზღვიოთ ჩვენივე საშვალებებით თავი. სურსათით ქვეყნის უზრუნველყოფა პოლიტიკურ სიმაგრის უტყუარი თავდებია.

ჩვენი ლოზუნგები უნდა იყოს დღეს ვაფართოვოთ სოფლის მეურნეობა.

რაც შეიძლება მეტი მოვხნათ და დავთესოთ ჩვენი მიწები.

**ირ.—დი.**

## აზერბეიჯანი და სპარსეთი.

თბილისში მიღებულ ცნობების მიხედვით შახსევანთა შეიარაღებულმა რაზმებმა შეტევა დაიწყეს ლენქორანის მაზრაზე.

სპარსეთსა და აზერბეიჯანს შორის დამოკიდებულების გამწვავებას ის ნოტაც მოწმობს, რომელიც აზერბეიჯანის საგარეო საქმეთა კომისარმა ჰუსეინოვმა ჩააბარა აზერბეიჯანში მყოფ სპარსეთის წარმომადგენელს.

ამ ნოტაში ჰუსეინოვი დაახლოვებით შემდეგს სწერს სპარსეთის წარმომადგენელს:

სარწმუნო ცნობების მიხედვით სპარსეთში დაარსდა ყაჩაღთა დიდი ბრბოები, რომელნიც თავს ესხმიან, სძარცვავენ და ყოველნაირად აწუხებენ აზერბეიჯანის სოფლებს ლენქორანის მაზრისა და მუღანის რაიონში. ეს თავდასხმანი, როგორც ეტყობა, ხდება სპარსეთის მთავრობის ჩუმის თანხმობით და ანტანტის აგენტების ხელმძღვანელობით, რომელთაც თავის მოქმედების ცენტრად ქალაქი არდებილი აურჩევიათ. ასეთი თავდასხმანი სერიოზულს საფრთხეს უმზადებენ აზერბეიჯანის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. ჩემმა მთავრობამ გადასწყვიტა, ყოველგვარის ზომით სათავეში ჩაახრჩოს ეს საფრთხე. გთხოვთ ამ ნოტის შინაარსი აცნობოთ თქვენს მთავრობას.

ამ ნოტის პასუხად სპარსეთის წარმომადგენელმა ჰუსეინოვს აცნობა, რომ მან უკვე გაუგზავნა შესაფერი ცნობა სპარსეთის მთავრობას, მაგრამ უგზოობის გამო პასუხი ჯერ არ მიუღია. რაც შეეხება საერთოდ სპარსეთის მთავრობას, მას აგრესიული მისწრაფებანი არა აქვს მეზობელ და მოძმე აზერბეიჯანისადმი და ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ყოველგვარი გაუგებრობანი ამ ორ მეზობლის საზღვრებზე მშვიდობიანის გზით გადასწყდებაო, — ასე თავდება პასუხი სპარსეთის წარმომადგენლისა.

## უცხოეთი.

**რუსეთის საქმეები.**

რუსეთის დამფუძნებელ კრების ცნობილ წევრებმა, ს. რ. და კადეტებმა ჩერნოვის თავმჯდომარეობით პარიზში ყრილობა მოიწვიეს. ყრილობის მიზანია რუსეთის ღირსების და ინტერესების დაცვა საზღვარ-გარეთ.

**საბერძნეთი**

საბერძნეთის დეპუტატია პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში მეფე კონსტანტინემ გამოსთქვა მტკიცე სურვილი მოკავშირეებთან შეთანხმებულ მუშაობის შესახებ.

**გერმანია.**

კონგრესზე ერცბერგერმა განაცხადა, რომ გერმანიის მდგომარეობა 1921 წ. უფრო უარესი იქნება, ვიდრე უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში.

**რუსეთი.**

გაზ. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება: თანახმად რეველიდან მოსულ სარწმუნო წყაროებისა, პეტროგრადში მოხდა მძლავრი აფეთქება, [illegible] მელიჰაც, წყალსადენი მილები დაზიანათ. მცხოვრებ[illegible] წყალი არ აქვს.

**ანტი ბოლშევიკური აჯანყება.**

ფრანგული პრესა აღნიშნავს კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთის მთებში დაწყებულ აჯანყების განვითარებას. აჯანყებას იმამ შამილი მეთაურობს აჯანყება ბოლშევიკებს ჯერ-ჯერობით 4,000 კაცათ, 10 ტყვიის მფრქვეველად და 6 ზარბაზნად დაუჯდათ.

**მოკავშირეთა კონფერენცია.**

ინგლისისა, ბელგიისა და იტალიის მთავრობები დაეთანხმენ საფრანგეთის მთავრობას, რომ მოკავშირეთა კონფერენცია შედგეს პარიზში იანვრის 19.

**რუსეთის ამბები.**

თანახმად ინგლისის გაზეთების ცნობებისა ამერიკაში რუსეთის თეთრგვარდიელები ამერიკის მთავრობის დახმარებით კრებენ რუს ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. მილიუკოვმა სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტის მოწვევის იდეას ხელი აიღო. იგი ესალმება აქსენტიევისა და კერენსკის მიერ განზრახულ ყრილობის მოწვევას.

**კომუნისტების დევნა.**

საფრანგეთის მთავრობამ კომუნისტების წინააღმდეგ მკაცრი ზომები მიიღო. დატუსაღებულია 10 კომუნისტი, მათ შორის ლორიო, სუვარინი, ბოტა და განო. პოლიციამ შემოიღო პასპორტების გასინჯვის ახალი წესი, რომლითაც სურს მას ებრძოლოს საფრანგეთის საზღვრებში ცალკე კომუნისტების შემოსვლას.

**გაფიცვა შვეიცარიაში.**

შვეიცარიაში გზების მექანიკების გაფიცვა დაიწყო. მექანიკები ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვენ გზების მიმოსვლა შეწყდა.

**სერბიაში.**

დაიწყო მემადნეთა გაფიცვა, როსლოვენიიდან ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში ვრცელდება. მემადნეები მოითხოვენ ჯამაგირის გადიდებას თანახმად მუშების მიერ მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებისა, რომელიც რამდენიმე თვის წინად იქმნა შემუშავებული.

**გენ. სლაშჩევის დატუსაღება.**

სტამბოლში მყოფ საფრანგეთის წარმომადგენლებმა დაატუსაღეს გენ. სლასჩევი მთელი თავისი შტაბით. მას ვრანგელის წინააღმდეგ აგიტაციის წარმოება ბრალდება.

**ბერლინში**

უნგრეთის სახალხო კომუნისტების შესახებ გამოტანილ მსჯავრის პროტესტის ნიშნად ბერლინში მუშათა დიდი დემონსტრაციები მოხდა

**მოსკოვი.**

101. პარიზში მყოფმა რუმინიის ელჩმა განუცხადა საფრანგეთის პარლამენტის წევრებს, რომ რუმინეთი არ ფიქრობს საბჭოთა რუსეთთან ომის დაწყებასო. რუმინიის გაზეთები ამტკიცებენ, რომ რუმინიის მთავრობას სურს რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყებაო.

**ამერიკა.**

კონგრესის კომისიამ წარუდგინა კონგრესს კანონპროექტი, რომლის ძალით ემიგრაცია ამერიკაში ორი წლის განმავლობაში სრულებით უნდა აიკრძალოს, გამონაკლისი იქნება მათთვის, ვინც სისხლის ნათესაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ბით არის დაკავშირებული ამერიკელ მოქალაქეებთან.

**ჩეხია.**

ს. დ. პარტიულ ყრილობაზე გიუსმანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიდაც ის ბოლშევიზმის იდეურ გაკოტრებას ასაბუთებს.

**იაპონია და ამერიკა.**

იაპონიის პოლიტიკა მიიმართა იქით, რომ ჩინეთი თავის რკალში მოაქციოს და გამოაცალკევოს რუსეთისგან გზა და გზა იაპონია იტაცებს სხვა და სხვა შორეული აღმოსავლეთის ნაწილებს, რადგან რუსეთი ვერ უწევს ვერავითარ წინააღმდეგობას. მხოლოთ ამერიკა შეყურებს უნდობლობით და შიშით იაპონიას და კიდეც მიმართა ნოტით რომელშიც მოითხოვს იაპონიისაგან განმარტებას. იაპონიის და ამერიკის დამოკიდებულება ძალზე მწვავდება.

**რუსეთი.**

მინსკის ახლო როგორც კოვნოდან ატყობინებიან პარტიზანული ბრძოლაა ბოლშევიკების წინააღმდეგ. პარტიზანებს ხელმძღვანელობს ვინმე შვეტჩინი, რომელმაც მოახერხა კავშირის გაბმა მეორე პარტიზანების მეთაურთან.

## შავი ზღვის რადიო.

(მოსკოვის ,,სენ' აციები'')

— მოსკოვის რადიო რომლის მიღების დროსაც ხელს უშლიდა საფრანგეთის რადიოს მუშაობა შემდეგს ამბობს: ბათომიდგან გასაქცევად ეზმადებიან.. (გამოტოვებულია) საბჭოთა საკონსულოდან გამომავალ ყველა პირს ატუსაღებენ (გამოტოვებულია) საზოგადოთ ხელი მიყვს კომუნისტების მისიურ დატუსაღებას ქუთაისის ციხეში 294 კომუნისტია დამწყვდეული.

— ნეიტრალურ ზონაში საქართველომ დაიკავა აშაგლიეს ხიდი და გაანადგურა იგი.

## უკანასკნელი ცნობები.

**საფრანგეთი და ოსმალეთი.**

გაზ. ,,ბოსფორის'' სიტყვით ოფიციალური საფრანგეთი მოწადინებულია რაც შეიძლება ჩქარა შეჰკრას კავშირი ანგორასთან და აგრეთვე, დიდი მომხრეა სევრის ხელშეკრულების ოსმალეთის სასარგებლოდ გადასინჯვისა.

— სტამბოლის ცნობებით ქემალფაშამ კატეგორიული ბრძანება მისცა სომხეთში ოსმალთა ჯარის სარდალს, სომხეთის მიწა-წყლიდან ფეხი არ მოიცვალოს.

— ვრანგელის ჯარის ნაწილებს პოლონეთში ჰგზავნიან.

— ირლანდიაში პოლიციის წევრების ჟლეტა გრძელდება მეტროპოლიის მთავრობა ირლანდიაში ჯარს ჰგზავნისო.

— ბოლშევიკების ცნობით ინდოეთში ინგლისის საწინააღმდეგოთ დიდი ამბოხებებია, ბოლშევიკები აუწყებიან, რომ ინდოეთის აჯანყების მეთაურთა კავშირი აქვს ქემალ ფაშასთანო.

— სპარსეთის შაჰსევანები საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეიჭრნენ ქ. არდებოლიდან და ლენკორანიდან, ხმა დადის ისინი ინგლისიელებისგან არიან მომზადებულნიო.

## ახალი ამბები.

დაპატიმრება მძარცველებისა. 31 დეკემბერს 1921 წ. ბათომის რაიონში ღამის 11 საათზე ქობულეთის მცხოვრებმა ხუსეინ ჯოგიტიძემ გაძარცვა კახაბერის მცხოვრები დურსუნ ბოზენ-ოღლი. დამნაშავე დაპატიმრებულია და მოთავსებულია ბათომის ოლქის საპყრობილეში.

მცხოვრებს სოფელ სარფისას რეფიტ გარა იბრაგიმ-ოღლის გაუპატიურებია მისი მეზობლის ხუთი წლის ვაჟი, ასკანდერ გარა იბრაგიმ-ოღლი დამნაშავე დაპატიმრებულია და მოთავსებულია ოლქის საპყრობილეში.

სოფელ სამებაში, 1 იანვარს დილის 4 საათზე ასლან გითელ-ოღლი და ილია გოხლიძე შევიდნენ სულეიმან ჯინჯარ-ოღლის სასიმინდეში სიმინდის მოსაპარავათ. ხმაურობაზე გამოვიდა სახლიდან სიმინდის მეპატრონე სულეიმან ჯინჯარ-ოღლი. ასლან გითელ-ოღლი და ილია გოხლიძემ ესროლეს და დაჭრეს. ერთი საათის შემდეგ დაჭრილი ჯინჯარ-ოღლი გარდაიცვალა. დამნაშავე ბირნი დაპატიმრებულნი არიან და მოთავსებული ოლქის საპყრობილეში.

ილიკო ქურხულის დილა. კვირას, 16 იანვარს, დილის 12 ს. შმაევსკის თეატრში შესდგება ფრიად საინტერესო მუსიკალურ-მხატვრული ლექცია მოხეტიალე მუსიკოსის ილიკო ქურხულისა.

შუამდგომლობა. ბათომის მაზრის კომისარი შუამდგომლობს მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულის წინაშე სამებაში, ქახათში, ხინოში, ცხემლოკანში პირველ დაწყებითი სკოლების გახსნის შესახებ.

ფოთის საზღვაო სკოლა. მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებულის წინადადებით 12 იანვარს შესდგება თათბირი, რომელზედაც გაირჩევა საკითხი. ფოთის საზღვაო სკოლის ბათომში გადმოტანის შესახებ. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ ბათუმის ნავთსადგურის უფროსი, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი ფოთის ინსპექტორი ფოთის საზღვაო სკოლის და საქართველოს ნავთსადგ. უფროსი.

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების საწყობში ილაზიაში იყიდება ფხვნილი თეთრი შაქარი გირვანქა 630 მანეთად. მსურველს შეუძლია მიიღოს სასურსათო ბარათით ერთ ფუთამდე.

აჭარის წყალზე ზემო მარადიდში, მდგარ ჯარებმა დიდის აღტაცებით მიიღეს ბათომის მოქალაქეთაგან გამოგზავნილი უხვი საჩუქრები დეფუტაციებით ვაშას შესძახიან დემოკრატიის აკვანს ბათომს მისი ფრონტის კომიტეტს აღთქმას სდებენ ბათომ აჭარა ქობულეთის მიდამოები მტერს არ გადმოალახვინონ და გაერთიანებულ საქართველოს მთლიანობა რესპუბლიკის თავისუფლება სულის ამოსვლამდე დაიცვან ბათომის კომიტეტის სახელით სალამს უძღვნის ვარდენ ჩხაიძე დედების სახელით ქალბატონ სემიონოვისა მთავ. კომიტეტ. მე ფრონტი თქვენი სიყვარულით ერთი ათად ლომგულდება ყოველივე ფრონტს მიიღეთ გულითადი სალამი ფრონტისაგან მიკდივართ მოწინავე პოზიციებისკენ მთავარ კომიტეტის, წევრი იოსებ იმედაშვილი

ასათიანის ქ. სახ. № 12 გაძარცვეს ნოტარიუსი ბელსკი.

კინტრიშის უბნის სოფ. სამებაში ყაჩაღები თავს დაეცნენ სულეიმან ჯინარ ოღლის ჯინარ ოღლიმ მათ წინააღმდეგობა გაუწია რის დროსაც იგი სასიკვდილოთ იქმნა დაჭრილი.

გუშინ მინისტრი ნოე რამიშვილი მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული გრ. გიორგაძე და ჯარების სარდალი გენ. მდივანი გაემგზავრენ ბათომის მიდამოებში ციხე სიმაგრეების დასათვალიერებლად.

## მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული კარლ კაუცკისთან.

ამა წლის 3 იანვარს საქართველოს ეწვია გერმანიის რწმუნებული ულრიხი რაუშერი, იმავე დღეს საქართველოდან ევროპაში ბრუნდებოდა ჩვენი მცხოვანი სტუმრები კარლ და ლუიზა კაუცკები.

მოსულის შესახვედრათ და წამსვლელის გასაცილებლათ 3 იანვარს საზოგადო საკრებულოს დარბაზში გამართული იყო ბანკეტი.

შემთხვევით გამოიარა ჩვენმა მოხეტიალე მუსიკოსმა ილიკო ქურხულმა, ისე, როგორც ღარიბთა უბნებში შეიჭრება ხოლმე იგი ვიოლინოთი და ხელოვნების ნამდვილ ცრემლებით ატირებს ვიოლინოსთან ერთად მსმენელთ. ესე შეიჭრა იგი დარბაზში და ასმინა ძვირფას სტუმრებს ქართული ჰანგი, რომელიც ასე უხვათ გაფანტულა ჩვენ ლამაზ კორდებში და ჰმოუთმენლათ ელის მომავალს.

მუსიკით აღტაცებულ სტუმრებს ილიკო ქურხულმა მცირე სიტყვაც გაატანა თან.

—ეს არის ჰანგი, ეს არის სიმღერა ჩვენი მშრომელი ხალხის—უთხრა ილიკო ქურხულმა სტუმრებს—მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის კულტურა ითქვიფებოდა ჩვენ კულტურაში, ქართულ მუსიკალურ ხელოვნებასაც აქა-იქ შეეპარა აღმოსავლეთის მუსიკის კანონები, რომლებიც ჩვენმა ერმა შეისისხლხორცა, შეითვისა იყო ბატონ-ყმობა და მშრომელი ხალხიც ბატონ-ყმობის მძიმე უღლის ქვეშ, მუხლის თავებზე წაქცეული, მწარედ გმინავდა და კვნესოდა. სადმე-სადმე მოოხვით კი სადმე კუნჭულში, გაბუტული ბავშვივით ტუჩებ გაბერილი და საცოდავათ 'გულ-ხელ დაკრეფილი, სტიროდა თავის ბედშავ სიცოცხლეს, მელოდიები, რომლებიც მაშინ მის ტანჯულ სულში იქმნებოდა, მდუღარე ცრემლებთან ერთად მოსჩქეფდა და მორაკრაკებდა მის დაჭრილ-დაკოდილ გულიდან, მის აკუწ-დაკუწულ იარებიდან და უებარი მალამოსავით ურჩენდა, უსუსურ მბუქებდა იარების ტკივილებს.' ხალხის გულიდან წამონახეთქი მელოდია-მელოდიაზე, ციდა ლვენთი წმინდა და სანთლისა, ეწვეთებოდა მის ისტორიის დ ხავსებულ ფურცლებს აქ მუსიკა, ობოლი მარგალიტებივით ეყინებოდა პერგამენტს. მაგრამ ვის უნდოდა ეს სიმდიდრე? ვინ რა თავში იხლიდა ხალხის სულიერ შემოქმედებას მაშინ, როდესაც ყველა იმასღა ცდილობდა, რომ როგორმე რაც შეიძლება უფრო მეტი ნივთიერი სიმდიდრე ამოეწურა ხალხის ჯანიდან?

მაგრამ აი, დადგა ჟამი და გამოიცვალა ჩარხის ტრიალიც: დედამიწის ზურგმა ვერღარ შეიფერთა უმანკო ადამიანთა უმანკო ცრემლი, დედამიწის გულმა ვეღარ შეისრუტა ანკარა ხალხის, ანკარა სისხლი,—გასკდა მიწა, წამოვარდა ნიაღვრები, წაილეკ-წამოილეკა უსამართლობაზე დამყარებული ქვეყნიერება და მის ნანგრევებზე, და მის რიყეზე წარმოშენდა ახალი სახელმწიფოები. დალოცვილი დემოკრატიის კურთხეული მარჯვენა ელვის სისწრაფით აშენებს თავისუფალ რესპუბლიკებს.

როდესაც ჩვენი დემოკრატიის წარმომადგენელნი სოციალისტურ გერმანიის წითელ დროშებს მორიდებით აფრიალებდნენ ხალხთა მასაში, ჩვენ მუსიკალურ გერმანიის საუკეთესო ჰანგებს ვამღერდით ხალხში ვიოლინოთი. ჩვენი ხალხი ითვისებდა გერმანიის მუსიკაც ისე, როგორც მის სოციალიზმს, მაგრამ არც თავისას ჰკარგავდა, არც თავისას უარყოფდა. ჩვენ შევინარჩუნეთ ენა, შევინარჩუნეთ მუსიკა და ამასთან ერთად მრავალი სხვა ჩვეულებანი და ხასიათები. მთელის ჩვენის არსებით წარვდექით ეხლა ევროპის წინაშე და ვთხოულობთ დამოუკიდებლობას, ვთხოულობთ ჩაკეტილ კარის გაღებას, ვაკაკუნებთ. შეგვიშვით თქვენ ოჯახში, ჩვენ! თქვენი შვილები გართ, ჩვენც შეგვიძლიან ჩვენი წვლილი ჩავაწვეთოთ განათლებულ კაცობრიობის ცხოვრებაში. გაიღო კიდეც კარი, მაგრამ ყველასი ჯერ არა, ჯერ მარტო გერმანიამ გვიცნო ჩვენ ადამიანებად და გამოგვიგზავნა კიდეც თავისი წარმომადგენელი. სალამი მას, გამარჯვება მის ერს.

თქვენ კი, თქვენ ხალხის მეგობარო, მოხუცო კარლო კაუცკო მშვიდობით და კეთილი მგზავრობით! როდესაც თქვენ აქ ბრძანდებოდით და ათვალიერებდით ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებას, მე საშუალება არა მქონდა მოვსულიყავ და მუხლ-მოდრეკით მეცა პატივი თქვენ მარჯვენისათვის,—გახლდით მაშინ სოფლებში, ვქადაგობდი მუსიკას და ვკრეფდი ჩვენ ღრე-ტყეებში უხვად ჩაფანტულ ხალხის სულიერ სიმდიდრეს, ხალხის მუსიკას. ეს მელოდია, რომელიც მე ეხლა მოგასმინეთ ჩემ ეზოების ვიოლინოზე, არის წამოღებული ჩვენი მთების მღვრალობებიდან. აი ინებეთ, წაიღეთ თან და მიგ ჩაქსოვილი ღრმა მწუხარება აცნობეთ ხალხს თქვენი სამშობლოისას. ხშირი იყოს თქვენი აქ მიბრძანება! . მშვიდობით!..

სიტყვა გადაუთარგმნეს გერმანულათ სტუმრებს აღტაცებული კარლ კაუცკი ადგა ადგილიდან მიეგება ხელი ჩამოართვა მუსიკოს, ხოლო ილიკო მოწიწებით ემთხვია კაუცკის ხელს, რომელიც ამდენი ხანი ასე თავდადებულათ ემსახურება მუშათა საქმეს.

ლუიზა კაუცკიმ კი კარლოს სურათი უძღვნა ქურხულს წარწერით ,,მოხეტიალე მუსიკოსს 3 იანვრის სახსოვრათ'' და უთხრა—ბედნიერათ ჩავთვლით თავს, თუ მაგ წარმტაც ქართულ ჰანგს პირადად ჩვენს ქუჩებზეც გამაგონებთო.

**ბრიშა.**

## ყირიმის საშინელებანი.

კონსტანტინოპოლი. ,,ჟურნალ დ'ორიანტი'' სწერს: კონსტანტინოპოლში სევასტოპოლიდან მოვიდა იტალიის გემი, რომელმაც ყირიმში ბოლშევიკებს საქონელი მიუტანა. გემის ეკიპაჟს, საშინელი სურათი წარმოუდგა: ბაღის გასწვრივ იდგა სახრჩობელები, რომლებზედაც ჩამოხრჩობილთა გვამები ეკიდა. ბნელ ღამეში იტალიის გემზე გადმოვიდა ორი რუსი, რომლებისაგანაც მატროსებმა გაიგეს შემდეგი: პირველად ბოლშევიკები მხოლოდ მძარცველებს სდევნიდნენ, შემდეგ სევასტოპოლში დარჩენილ მოხელეებსა და ოფიცრებსაც დაუწყეს დევნა. დაარსეს ორი ჩრეზვიჩაიკა. პირველად ყოვლისა დაატუსაღეს მთელი შემადგენლობა დემოკრატიულ კომიტეტისა, რომელიც არჩეული იყო... და... სავალდ ქალაქის ბოლშევიკებზე გადაცემის დროს. შემდეგ დაიწყეს რეგისტრაცია მცხოვრებლებისა, რომლებსაც სთხოვენ პასუხს შემდეგს კითხვაზე: ბ ნადირობას 1917 წლიდან ხელობას და ჰყავს თუ არა მას ნათესავი რუსეთის არმიაში. ...ის სწორ პასუხზე მთელი სახლი ითვლებოდა პასუხისმგებლად. ქალაქის მცხოვრებლები ინგლისის ტანთ-საცმელში გამოწყობილნი დაატუსაღეს. იჭერდნენ ქუჩაში აგრეთვე ჯარში გასაწვევ წლოვანების პირთა, ატუსაღებდნენ იმ პირებსაც, რომლებსაც დენიკინისა და ვრანგელის დროს ჰქონდათ მიცემული მოწმობები მცხოვრებთა დასაშინებლად დახვრეტა ჩამოხრჩობით იყო შეცვლილი. ამ მიზნისათვის ბოლშევიკებმა გამოიყენეს ბაღში არსებული ხეები და ეკატერინეს ქუჩაზე ტელეგრაფის სვეტები. ოფიცრებს ალრჩობდნენ მუნდირებში. ჩამოხრჩობილთა შორის იყვნენ ქალებიც, სულ სამი ათას კაცამდე ჩამოახრჩვეს. ბოლშევიკების ბატონობის რამოდენიმე დღის შემდეგ მუშებში დაიწყო ზრდა მათ წინააღმდეგ მიმართულმა მტრულმა განწყობილებამ, რასაც თვითონ ჯამაგირის შემცირებამაც შეუწყო ხელი. მიტინგზე მიუხედავად ბოლშევიკების ყოველგვარ ცდისა, მენშევიკების რეზოლიუციებს ღებულობდნენ. პეტროპავლოვის ქარხანაში გაჩხრეკის დროს თორმეტი ტყვიის მფრქვეველი აღმოაჩინეს, რის შემდეგაც დაიწყო რეპრესიები ამ ქარხნის მუშების წინააღმდეგ. ბაზარი სრულიად დაცარიელებულია, გირვანქა პური 2,500 მან. ღირს. პურის ბარათებით მცხოვრებლებს სულზე ერთი მეოთხედ გირვანქა პურს აძლევენ.

**ინგლისი და რუსეთი.**

ლონდონი. ინგლისის პრესა შემდეგს ადმოგვცემს: ინგლისის მთავრობის უკანასკნელი სხდომა, როგორც ჩანს, დაუდებს ბოლოს იმ მოლაპარაკებას, რომელიც სწარმოებს რუსეთსა და ინგლისს შორის სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. სხდომა რამოდენიმე საათს გაგრძელდა. კაბინეტი ორ პარტიად გაიყო: ერთ მხრით ლოიდ ჯორჯი, ბონარ-ლოუ და რობერტ ხორნი მომხრენი იყვნენ სავაჭრო შეთანხმებისა. მეორე მხარეზე იყვნენ—კერზონი, ჩერჩილი, ლონგი და ბირკენხოდი. ეს ჯგუფი დაჟინებით მოითხოვდა გარანტიებს რუსეთისაგან საქართველოსა, სომხეთსა და აზერბეიჯანის შინაურ საქმეში ჩაურევლობის შესახებ.

## სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის მეორე ყრილობა.

იანვრის 9-ს ქალაქის თვითმართველობაში შესდგა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის კრება. კრებას ხსნის დილის პირველ საათზე ვ. ბერეჯანაძე, რომელიც მიმართავს კრებას მოკლე მისალმებით და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას ამის შემდეგ ხდება პრეზიდიუმის არჩევნები თავმჯდომარედ დასახელებული ორი კანდიდატი ლ. მდივანი და არ. წითლიძე. პირველმა მიიღო 22 თეთრი ხმა მეორემ 24, არჩეულია წითლიძე. თავმჯდომარის ამხანაგებად ირჩევენ ჩიგოგიძესა და პარკაძეს მდივნებად ვ ძიძიგური და ვ ხუროძე.

შემდეგ წაკითხულ იქნა ყრილობის წესრიგი: 1) მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ: 2) კავშირის შემოსავალ გასავალი, 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა; 4) მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა 5) დროებითი წესდების შესწორება და ინსტრუქციები; 6) მოხსენება გამომცემლობის შესახებ; 7) მასწავლებელთა კოოპერატივი; 8) მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარე დამზღვევი კასა; 9) მასწავლებელთა ახალი შტატები; 10) კავშირის ბეჭდითი ორგანო; 11) განათლების დღე: 12) არჩევნები.

დღიურ წესრიგზე მსჯელობის დროს დარბაზში შემოდის განათლების მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე და მისი ამხანაგი ნ. ცინცაძე, რომელთაც კრება ტაშით ეგებება. ბ-ნი მინისტრი ესალმება კრებას მთავრობის სახელით, და აღნიშნავს თუ რა დიდი პასუხისმგებლობა და მნიშვნელოვნება აქვს მასწავლებელთა ყრილობის მუშაობას. ქართველ ერს—ამბობს მინისტრი—აქვს ძველი ისტორია, ძველი კულტურა. ქართველი ხალხი არსებობდა, ხოლო ნამდვილი გაეროვნება ერისა სწორედ დღეს იწყება. ნაწილი ამ დიდი მუშაობისა შესრულებულია, მაგრამ მეორე და უდიდესი ნაწილი ხალხის გაეროვნებისა არ უნდა მოხდეს. არ არის საკმარისი ხალხი ინარჩუნებდეს თავის არსებობას მაგარი ხმლით და გმირული მკლავით. ის უნდა ეყრდნობოდეს უმთავრესად ფართე მასსის კულტურას, მარტო მწიგნობრება და მმართველი წრეები კი არ უნდა წარმოადგენდეს ერს, არამედ მთელი ერი თავის არსებით შეადგენს ეროვნული სახელმწიფოს ნამდვილ ფუძეს, მასის გაეროვნება, ხალხში კულტურის გაფანტვა, დაკისრებული აქვს მასწავლებლობას მიუხედავად ამ დიდი მოვალეობისა, რომელიც დაკისრებული გაქვთ თქვენ, თქვენი მდგომარეობა მატერიალურად აუტანელია და ამას არა თქვენზე ნაკლებ გულმტკივნეულად გრძნობს თქვენი მთავრობა და დღეს მას დღიურ წესრიგში აქვს თქვენი მდგომარების გაუმჯობესობა. კოოპერატივის დახმარებით, პროვინციელ მასწავლებელთა, რომლებიც ვერ სარგებლობენ მუშათა მაგიდით

მინისტრის სიტყვის შემდეგ არჩეულ იქმნა სარეგლამენტო კომისია.

## რუსეთი და ქ. ნოვოროსია.

მოსკოვის მთავრობის კავკასიელი წარმომადგენლები სავალიუტო სიქონელს თავს უყრიან ქ. ნოვოროსიაში, ორჯონიკიძემ აზერბეიჯანის სიმდიდრით დატვირთული ვაგონები, რომლებიც ბათომისაკენ უნდა გამოეგზავნათ, გააბრუნა ქ. ნოვოროსიაში მოსკოვის მთავრობას გათაწყვეტილი აქვს, რომ ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობა აღადგინოს, ამისათვის შავი ზღვის ნავთსადგურებში უყრის თავს იმ სავალიუტო ქონებას, რომელიც გამოაქვთ აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან.

რუსეთი აზერბეიჯან სომხეთის სიმდიდრით ანახლებს ურთიერთობას ევროპის კაპიტალთან, ხოლო აზერბეიჯან სომხეთს თავის სიმდიდრის სამაგიეროდ არაფერს არგუნებენ.

რუსეთი განზრახ ნოვოროსიაში ისტუმრებს აზერბეიჯან სომხეთს სიქონელს, რომ ქ. ბათომიდან უკან დაბრუნებულ კაპიტალიდან საამლოო სიქონლიდან აზერბეიჯან სომხეთმა წილი არ მოითხოვონ, ამ რიგათ რუსეთი შეუდგა აზერბეიჯან სომხეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა ვაჩანაგებას. უხაროდეთ ბაქოს და ერევნის ახლად გაწითლებულ დიპლომატებს.

ი. ჯ—ლი.

## მუშათა ცხოვრება.

სეკრეტარიატში.

სანაპირო სომეხ მუშებისაგან, რომლებიც წინად მუშაობდენ „კავკაზ მერკურში", სეკრეტარიატში შემოვიდა ვრცელი განცხადება, რომელშიაც უკმაყოფილებას აცხადებენ სანაპირო მუშების კავშირის მართლამი ვითომდა უკანონო მოქმედების შესახებ: ისინი კავშირმა არ მიიღო წევრებად და არ დაუშვა სამუშაოდ. სთხოვენ სეკრეტარიატს მიიღოს ზომები, რათა ისინი იქნას კავშირის წევრებად მიღებული და სამუშაოზე დაშვებული. რადგანაც მათ მიერ შემოტანილ განცხადებაში ვერ არის ნათლად გარკვეული ნამდვილი მიზეზი და ვერ არის წამოყენებული საკმაო საბუთები კავშირის უკანონო მოქმედების, ამისათვის სეკრეტარიატმა გადასწყვიტა თავის წარმომადგენლის გაგზავნა, რომ ადგილობრივად დაეკითხოს ორივე მხარეს, გამოარკვიოს სინამდვილე და წარმოადგინოს სეკრეტარიატში თავისი შეხედულება ამ საქმის შესახებ.

ლითონზე მომუშავეთა კავშირი.

ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ იქონია რა მსჯელობა ზოგიერთი ამხანაგების მოქმედების შესახებ გადასწყვიტა: „რადგანაც გამგეობის განმეორებითი მიწოდებამ ვერ მოახდინა გავლენა იმ ამხანაგებზე, რომლებიც არ იხდიან საწევრო გადასახადს და პირნათლად არ ასრულებენ კავშირის წევრის სავალდებულო მოთხოვნილებას, კავშირის გამგეობა დაუშვებლად სცნობს წევრების ასეთ საქციელს და საჭიროთ სცნობს მიიღოს მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები და ყოველი ღონის ძიება იხმაროს, რათა ისინი არ იქნას დაშვებული არსად სამუშაოზე და გამოუცხადონ ბოიკოტი.

რკინისგზელთა კავშირში.

ბათომის რაიონის რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა ყრილობაზე გამგეობის მ უ შ ა ო ბ ი ს შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ხელაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონულ გამგეობის მუშაობა ვერ იყო ფრიად ნაყოფიერი იმიტომ, რომ სექციის ყველა წევრები ვერ ესწრებოდენ გამგეობის სხდომას, რადგანაც ადგილობრივი ადმინისტრაცია არ ანთავისუფლებდა მათ. აუცილებელ საჭიროება მოითხოვს, რომ შემდეგში ყველა სექციის წევრები განთავისუფლდეს, როდესაც გამგეობის სხდომა იქნება დანიშნული. რაიონულ გამგეობას საშუალება არ ქონდა ეწარმოებია კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, რადგანაც ამისათვის არ არის საჭიროდ მომზადებული გამოცდილი მუშები. მოთხოვნილება მუშებში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისა კი დიდია. ბათუმში რაიონს აქვს ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

სკოლის საქმე ფერხდება უბინაობისა და საჭირო ავეჯეულობის უქონლობისა გამო მოსწავლეთა რიცხვი სამოცამდე და ეს რიცხვი დღითი დღე იზრდება. მასწავლებლებს არა აქვთ ბინა, რის გამო მათი მდგომარეობა ძლიერ ცუდია.

საექიმო დამხარების საქმე საერთოდ, დაყენებულია კარგად, მხოლოდ ზოგიერთ მოსამსახურეებში უკმაყოფილებას იწვევს მედიკამენტების ნაკლებობა.

ძალიან ცუდათ სდგას ბინის საკითხი და ზოგიერთებს ცხოვრება უხდება ვაგონებში.

მრეწველობის მოსამსახურეთა კავშირში.

სავაჭრო სამრეწველო მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ იქონია მსჯელობა მთელი საქართველოს სავაჭრო მრეწველობის მოსამსახურეთა კავშირების შეერთებისა და მთავარ ცენტრის შექმნის შესახებ, ფრიად სასურველად იცნო ასეთი ხელმძღვანელი ორგანოს დაარსება, რომელიც გაადვილებს ორგანიზაციულ მუშაობას და ხელს შეუწყობს საერთო კულტურულ-გამანათლებელ მუშაობას და ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს. ამ მიზნით გამგეობამ მიმართა თბილისის გამგეობას, რათა მას აეღო თავის თავზე ინიციატივა მთავარი ორგანოს დაარსებისა და რომ ეს მიზანი ცხოვრებაში დაჩქარებით იქნას გატარებული, ამისათვის გამგეობას მიაჩნია საჭიროდ იქნას ამ ახლო ხანში მოწვეული თფილისში თათბირი ყველა სავაჭრო-სამრეწველო კავშირების წარმომადგენლებისაგან საერთო მოქმედებისა და მუშაობის ხაზის გამოსამუშავებლად. ასეთ წინადადებაზე თბილისის გამგეობა დასთანხმდა და ამ ჟამად მიღებულია ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად.

კავშირებში.

ყველასათვის ცხადია და უდავოა მნიშვნელობა და საჭიროება პროფესიონალურ კავშირების არსებობისა, მაგრამ სამწუხაროდ, რაც უნდა კეთდებოდეს, ის არ კეთდება და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობა და ნაყოფიერება ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული. ამ მხრით, რა თქმა უნდა, ქ. ბათუმი წარმოადგენს ჩამორჩენილ ადგილს სხვა საქართველოს ქალაქებზე, სადაც კი არსებობს ასეთი კავშირები. ჩვენ მიზნად არა გვაქვს ფართოდ შევეხოთ ამ საკითხს, მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია გაკვრით აღვნიშნოთ უმრავლესი ამხანაგების გულგრილობა ორგანიზაციებში მუშაობის შესახებ. მაგალითად ამ გულგრილობისა მოვიყვანოთ თუ გინდ ასეთი შემთხვევა, რომ 28 კავშირების მაგივრად ცოტად თუ ბევრად ნაყოფიერი მუშაობა სწარმოებს მხოლოდ ორ-სამ კავშირებში, დანარჩენებში კი ან სულ არ სწარმოებს არავითარი მუშაობა, ანდა თუ სწარმოებს არაფერი არ კეთდება. ზოგიერთ ამხანაგებს ძალიან ხშირად უყვართ ხოლმე მარტო ცარიელი სიტყვებით რახა-რუხი სხვა ამხანაგზე შეჩივლის მიცემა და თითონ კი [illegible] არაფერს არ აკეთებს. ხშირი იყო მოვლენა, მაგალითად, როდესაც კრება იხილავდა საკითხს ამხანაგების გულგრილობის შესახებ, ყველა ერთხმათ სცნობს საჭიროდ და ადგენენ, რომ ამხანაგებმა უნდა იმუშაონ, გააცხოველონ და გაანაყოფიერონ კავშირებში მუშაობა, ხდება კიდეც არჩევნები და გგონია, რომ საქმე გამოკეთდება, მაგრამ შემდეგში ისეთივე გულგრილობა, უუნარობა, როგორიც იყო წინად.

ასეთი გულგრილობა ამხანაგების მიერ დაუშვებლად უნდა ჩაეთვალოს და საჭიროა, რომ ნამდვილ ნაყოფიერ მუშაობას მიჰყონ ხელი.

რედაქტორი კ. ძავთარაძე.

ქართული ენის მასწავლებელი-ეკონომისტი ჰკისრულობს
საბუთის ქაღალდების, წესდებების, კანონპროექტების და მოხსენებების
რუსულიდან ქართულად გადათარგმნას.
იგივე ასწორებს ენასა და სტილს (მოთხრობები, სახელმძღვანელოები და სხვ.)
მისამართი: სახელმწ-ფო ბანკი (დონდუკო-კორსაკოვის ქ. № 8) საღ. 4—$7^1/_2$ სათ. ზრ. ვორგაძე.
(3—1) 4—2—15.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.
ყოველდღიური გაზ.
„ბათომის ცხოვრებაზე"
თვიური ფასი ქალაქში 800 მან. ქალაქ გარეთ 1200 მან.
მუშა მოსამსახურეთათვის და მასწავლებელთათვის ფას დაკლებით.
ხელის მოწერა მიიღება მარინეს პროსპექტზე საბაშვილის სახლში,
მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.
მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.

# განცხადება
## ფრონტის დამხმარე კომიტეტი
9 იანვარს ფრონტის დამხმარე კომიტეტი მოაწყობს ვაჭრობას ფრონტის სასარგებლოდ 47 რესტორანსა, სასტუმროსა, სარძევესა და საჩაიეებში. ვაჭრობა გაგრძელდება ღამის 1 საათამდე. ვაჭრობას უხელმძღვანელებენ განსაკუთრებულად დანიშნული კაცები
სია ამ სავაჭროებისა: „პავილიონი", „არტელი", საზოგადო საკრებულო (კლუბის), მარანი, სარძევე ივანე მგელაძისა, ბომონდი მეგრელიშვილისა „კავკაზი" ურუშაძისა, რესტორანი «ფრანცია», „ლონდონი", „ფორტუნა", „საქართველო", „სანრემო", „ინტერნაციონალი", სარძევე „დრუჟბა", ამერიკის „პარი", „ფეოფელოს", გაბრიჩიძის რესტორანი, ძნელაძის რესტორანი, რესტორანი „პელ მელ", რესტორანი ჩოხატაური, რესტორანი ლეკვინაძისა, რესტორანი ჩუ[?]ინიძისა, რესტორანი კაციტაძესი, სარძევე აივაზივისა, „კაფე-ვაშინტონ". რესტორანი „მოდი მნახე", „ალავერდი", „არგო", „დარიალი", სარძევე ძაძიგურისა, რესტორანი გეგეჩაძისა, რესტორანი „ვერდენი", კაფე რესტორანი, ჯიბლაძის რესტორანი, ქალთა წრის სასადილო იული მაჭარაძის რესტორანი, ზენაიშვილის რესტორანი, კაფე „ბირჟა", სარძევე უგულავასი, „კაფე კერასუნდი", რესტორანი „ნეაპოლი", რესტორანი სანიკიძისა, გიორგი ჩოგოვაძის რესტორანი, ნიტიფორ გვასაძის რესტორანი და კაფე-რესტორანი „კონსტანტინოპოლი".

დავკარგე
ნუსხა სამხედრო ბეგრის მოხდის შესახებ ილარიონ ს[?]ებანის ძე ჯიქიას სახელზე მოცემული სენაკ-ს სამხედრო ერობის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1920 წელში. ჩაითვალოს გაუქმებულად.
23 1—1

საღვინე გასტრონომიული მაღაზია
იყიდება დაწმენდილ დაცდილი ნამდვილი
იამაის რომი კონიაკი „IMPERIAL"
და სხვა სასმელები მაღალი ღირსებისა
სავაჭრო სახლი ძმ. სესიაშვილებისა და ამხ.
25—3

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ხ. მ. [illegible], მიხაილოვის, ქ. №21 ბათუმი.